განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„იურიდიული დახმარების შესახებ“

საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

მოქმედი კანონმდებლობით იურიდიული დახმარების სამსახური არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და უზრუნველყოფს იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობას.[1] იგი არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო ორგანოს და ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე.[2]

წარმოდგენილი ცვლილებების მიზანია სამსახურისა და იურიდიული დახმარების საბჭოს საქმიანობისა და მისი კონტროლის ეფექტიანობის გაუმჯობესება, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება იურიდიული დახმარების სამსახურის დამოუკიდებლობის ხარისხის შენარჩუნებაც. ამასთანავე, დაიხვეწება, როგორც სამსახურის დირექტორის არჩევასთან დაკავშირებული საკითხი, ისე საბჭოს დაკომპლექტების მოდელი.

ამასთანავე, საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტით იცვლება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იურიდიული დახმარების სამსახურის ანგარიშვალდებულების წესი, რომლის თანახმადაც სამსახური ანგარიშვალდებული იქნება საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

„ა.ა.ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული საკითხი, მისი მიზნიდან და არსიდან გამომდინარე, მოითხოვს საკანონმდებლო ცვლილების განხორციელებას.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შედეგად იურიდიული დახმარების სამსახური ანგარიშვალდებული იქნება საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე. ამასთანავე,

---

[1] იხ. „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი.

[2] იხ. „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი.

შეიცვლება იურიდიული დახმარების საბჭოს დაკომპლექტებისა და სამსახურის დირექტორის დანიშვნის-გათავისუფლების წესები. აღნიშნული უზრუნველყოფს სამსახურის საქმიანობისა და მისი მონიტორინგის ეფექტურობის ზრდას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიხედვით:

- იურიდიული დახმარების სამსახური ანგარიშვალდებული იქნება საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე და სამსახურის დირექტორი სამსახურის წინა წლის საქმიანობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრს;

- ახლებურად მოწესრიგდება იურიდიული დახმარების საბჭოს დაკომპლექტებისა და სამსახურის დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების წესები. ნაცვლად ცხრა წევრისა, საბჭო დაკომპლექტდება შვიდი წევრისაგან, რომელთაგან 2 წევრი იქნება საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტების თავმჯდომარეები, 1 – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, 1 – საქართველოს გენერალური პროკურორი, 1 – საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი, 1 – საქართველოს სახალხო დამცველი და 1 – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე;

- საბჭოს წევრების უფლებამოსილების ვადად განისაზღვრება მათი შესაბამის თანამდებობებზე ყოფნის პერიოდი;

- სამსახურის დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნის უფლებამოსილება ენიჭება საქართველოს პრემიერ-მინისტრს, რომელსაც საბჭო დასანიშნად წარუდგენს სამსახურის დირექტორობის კანდიდატს. ამასთანავე, მისი თანამდებობიდან გათავისუფლება შესაძლებელი იქნება საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილ კანონპროექტთან მიმართებით (კანონპროექტი არ არის ინიციირებული საქართველოს მთავრობის მიერ).

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტის ძირითადი ნაწილი ამოქმედდება 2026 წლის 1 აპრილიდან, რადგან იგი მისი მიზნიდან და შინაარსიდან გამომდინარე, საჭიროებს ამოქმედების ზემოაღნიშნული ვადის დადგენას. კანონპროექტის ის ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორისა და საბჭოს უფლებამოსილებების შეწყვეტას, დირექტორობის კანდიდატის შერჩევის პროცესის განხორციელებასა და სათანადო კანონქვემდებარე აქტების ამ კანონთან შესაბამისობას, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

ამასთანავე, კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისთვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის გათვალისწინებული.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსების წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით იურიდიული დახმარების სამსახურისთვის განსაზღვრული ასიგნებები.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღების შედეგად იურიდიული სამსახურის დირექტორისთვის 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით გაცემული კომპენსაცია დაექვემდებარება საშემოსავლო გადასახადს, რომელსაც გავლენა ექნება სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორს სათანადო პირობების დაცვით მიეცემა კომპენსაცია 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, რომლის გაცემასაც უზრუნველყოფს იურიდიული დახმარების სამსახური.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორს მიეცემა კომპენსაცია 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, რომლის გაცემასაც უზრუნველყოფს იურიდიული დახმარების სამსახური.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ აწესებს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ[2]) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების

არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. კანონპროექტის მომზადება არ არის დაკავშირებული ასეთ ხელშეკრულებასთან/შეთანხმებასთან.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონის იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: არჩილ გორდულაძე, თორნიკე ჭეიშვილი, ალექსანდრე ტაბატაძე, დავით მათიკაშვილი, რატი იონათამიშვილი, ალუდა ღუდუშაური, თენგიზ შარმანაშვილი, გურამ მაჭარაშვილი, აკაკი ალადაშვილი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: არჩილ გორდულაძე, თორნიკე ჭეიშვილი, ალექსანდრე ტაბატაძე, დავით მათიკაშვილი, რატი იონათამიშვილი, ალუდა ღუდუშაური, თენგიზ შარმანაშვილი, გურამ მაჭარაშვილი, აკაკი ალადაშვილი.